საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 315/ი

01 05 2019წ.

ქ. თბილისი

„პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დადასტურების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 23 აპრილის N304/ი ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილის პირველი მაისის №493523 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება „პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დადასტურების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2019 წლის 23 აპრილის N304/ი ბრძანებაში და ბრძანების 1.4. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.4. სსიპ - კოლეჯი „მოდუსი“:

ა) ელექტრონული მოწყობილობებისა და დანადგარების ელექტრიკოსი (პროფესიული მომზადების პროგრამა);

ბ) მომხმარებლებთან ურთიერთობა სავაჭრო ობიექტებში (პროფესიული მომზადების პროგრამა).“.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი გიორგი ვაშაკიძე